ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2498321

ნომერი: AR1387928

თარიღი : 19.03.2016

გაცემის თარიღი : 23.03.2016

გაცნობის თარიღი : 24.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 9 , (ნაკვ.01/108) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამთა ტოგონიძე პ/ნ 01024023785
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 247

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ბორის ყიფიანის სახელობის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა" კოდი: 206047712

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ველში "ფაილის მიმაგრება" აიტვირთოს კარგის ხარისხის თანხმობა ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან, რომელშიც იქნება ხილვადი ტექსტი. ასევე წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო შენობის ნაკვეთზე არსებული ხე ნარგავების ჩვენებით საპროექტო შენობიდან უახლოეს ხეებამდე მანძილის დატანით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების მე-3 თავის 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავებს შორის უნდა შეადგენდეს 1 მეტრს, საჭიროა წარმოადგინოთ ტოპო გეგმა მოსაჭრელი ხე-მცენარეების მითითებით და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა ხეების მდგომარეობის, სახეობის და გარშემოწერილობის შესახებ, რომელიც იზომება მიწის ზედაპირიდან 10სმ სიმაღლეზე.

ამასთანავე გაითვალისწინეთ: არქიტექტურის სამსახურში შემოსულ სარეკლამო აბრაზე წარწერა უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით ყველა შემთხვევაში და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებული) ფორმას, ხოლო ორენოვანი მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასაკორექტირებელია დოკუმენტაცია.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.